განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
11 სექტემბერი/2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
8 ნოემბერი/ 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**204426834**
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი თეოლოგიაში / 0221
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვლადიმერ ნარსია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბექა ებრალიძე, აღმოსავლეთის პონტიფიკალური ინსტიტუტი, რომი, იტალია.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფო ბაბილოძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

2002 წელს, დაარსების წლიდან, უნივერსიტეტის ისტორია არსებითად დაუკავშირდება დასავლური ქრისტიანული თეოლოგიის, მეტწილად რომაულ-კათოლიკური თეოლოგიის, სამოძღვრო სწავლებების კვლევას საქართველოში. დღეს ეს საზღვრები გაფართოვებულია და რომაულ-კათოლიკურის გარდა მოიცავს მართლმადიდებლური თეოლოგიის, სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიების და რელიგიათაშორისი ურთიერთობების (ისლამი) საკითხებს, რაც არის პასუხი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს გამოწვევებზე ჩვენს რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამამ პირველად 2014 წელს მოიპოვა აკრედიტაცია. განვითარების ამ ეტაპზე თეოლოგიის პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით დახვეწილია, რაც აიხსნება 2019 წლიდან თეოლოგიის ფაკულტეტზე აკადემიური რესურსების შევსებით და ცვლილებებით, რომელიც განხორციელდა ფაკულტეტზე კადრების განახლების და სწორი მენეჯმენტის კუთხით. უნივერსიტეტს გააჩნია საერთაშორისო კავშირები წამყვან დასავლურ საუნივერსიტეტო და კვლევით ცენტრებთან, რაც საქართველოში თეოლოგიის მეცნიერების განვითარების და დახვეწის კუთხით უნივერსიტეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას გამოკვეთს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი განხორციელდა 11 სექტემბერს, რომელმაც მოიცვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროფესურასთან, ყოფილ/მოქმედ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრები. სამუშაო პროცეში აკრედიტაციის ჯგუფის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხები ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა არსებითად შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს. სტანდარტები განხილული იქნა დოკუმენტის *(დანართი 3)* ხუთივე ნიშნულის მოთხოვნების მიხედვით. თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით არსებითი წინააღმდეგობები არ გამოვლენილა.

სტანდარტი 1 - შესაბამისია მოთხოვნებთან: პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შედეგები ურთიერთდაკავშირბულია. პროგრამის მიზნები არსებითად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას. სტუდენტები ეცნობიან ეკლესიის ისტორიას, პატრისტიკულ შრომებს, დოგმატურ მოძღვრებებს, თანამედორვე ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ნაშრომებს და მათ ავტორებს. შეისწავლიან ეთიკის ფუნდამენტალურ პრინციპებს, ქრისტიანულ ხელოვნებას, რელიგიის სოციოლოგიას, მედიის კავშირებს რელიგიასთან და ინტერკულტურული/ინტერელიგიური დიალოგების მნიშვნელობას. რაც ერთიანობაში იძლევა საფუძვლიანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ პროგრამა ორიენტირებულია ხარისხიანი ცოდნის წარმოებაზე

განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. პროგრამის გასაუმჯობესებლად პერიოდულად ხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, რაც ამაღლებს სწავლის ხარისხს და ქმნის ოპტიმალურ პირობებს თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მქონე, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე გათვლილი კვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად.

სტანდარტი 2 - შესაბამისია მოთხოვნებთან: პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამა ორიენტირებულია თეოლოგიის მეცნიერების თეორიული ცოდნის, ძირითადი კონცეფციებისა და პრინციპების შესწავლაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას. ყურადღება გამახვილებულია ინგლისური ენის სავალდებულო შესწავლაზე, რომლის მიზანია ინგლისურენოვანი ლიტერატურის და ინტერნეტ-რესურსებზე სრულყოფილი წვდომა. სასწავლო კურსები დაგეგმილია ისე, რომ სტუდენტისგან მოითხოვს ძირითადი ლიტერატურიდან ინფორმაციის გაცნობას, დამუშავებას და გააზრებას და ასევე, კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სწავლის შედეგების მოწმდება შეფასების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით: თეორიული შეკითხვები, ესეები.

სტანდარტი 3 - შესაბამისია მოთხოვნებთან: პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს და სთავაზობს შესაბამის სერვისებს. ამისათვის ფაკულტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, სადაც მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილია სტუდენტთა სასწავლო მობილობა, უცხოელი პროფესორების ჩართვა პროგრამაში, საერთაშორისო კონფერენციების მოწყობა, თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტებთან.
უნივერსიტეტი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას დასაქამებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ქმნის პოტენციური დამსაქმებლის მონაცემთა ბაზებს. გარდა ამისა, საერთაშორისო ურთერთობების განყოფილება უზრუნველყოფს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობით უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა სახის გაცვლითი პროექტებში და საერთაშორისო მობილობაში.

სტანდარტი 4 - შესაბამისია მოთხოვნებთან: უნივერსიტეტის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
ხაზგასასმელია, რომ პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, ევროპული და წამყვანი საუნივერსიტეტო გამოცდილებებით, რაც საკმაოდ იშვიათია ქართული რეალობისთივის თეოლოგიის დარგში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო მკვლევარს თეოლოგიის მეცნიერებაში. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი განსაზღვრული პერიოდულობით მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, ტრენინგებში და სამუშაო შეხვედრებში. ამ მიზნით ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის პერსონალის მობილობა პარტნიორ ევროპის უნივერსიტეტებში ასევე უცხოელი ლექტორების მობილობა საბაუნიში. უნივერსიტეტს გააჩნია გამართული ნფრასტრუქტურა სასწავლო მიზნების მისაღწევად. უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობაში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები,

პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს. რაც შეეხება ბიბლიოთეკას - სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct.
გარდა ამისა, უნივერსტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცეს, შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკით.

სტანდარტი 5 - შესაბამისია მოთხოვნებთან:
უნივერსიტეტში მოქმედებს ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის და შეფასების სისტემა“, რომელიც მოიცავს გარე და შიდა შეფასების მექანიზმებს. გარე შეფასებას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შიდა მექანიზმების შესაბამისად პროგრამის შეფასებაში მონაწილეობას იღებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. პროგრამ ფასდება დარგის სპეციალისტების მიერ და აკრედიტაციის ექსპეერტების მიერ.

- **რეკომენდაციები**
  - გაიზარდოს პროფესურის ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში.
  - გამოიცეს სამეცნიერო პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - ინტერ-კონფესიური და ინტერ-რელიგიური სწავლების მიმართულებით გაფართოვდეს პროგრამის საზღვრები. პროგრამაში საგნების წარმოდგენა მოხდეს მეტი მრავალფეროვნებით, მაგ. დაემატოს რელიგიური დიალოგის შესახებ კურსი და რელიგიური კონფლიქტების შემსწავლელი კურსი;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ჰუმანიტარული მეცნიერების სფეროში თეოლოგიას გამორჩეული ადგილი უჭირავს დასავლეთევროპის საუნივერსიტეტო კურიკულუმებში. ამ დარგის შესწავლის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, აკადემიური რესურსების მრავალფეროვნება და მდიდარი სკოლარული გამოცდილება საშუალებას იძლევა დასავლეთევროპის უნივერსიტეტებში უნიკალური კვლევების წარმოების და შესაბამისად, უახლესი საღვთისმეტყველო ლიტერატურის შექმნის. საქართველოში კი, სეკულარულ საუნივერსიტეტო სივრცეში, თეოლოგიის მეცნიერების შემსწავლელი დარგები ათწლეულების მანძილზე ნომინალურად

არის წარმოდგენილი საუნივერსიტეტო სივრცეში, რასაც ობიექტური მიზეზები გააჩნია. ათეიზმის და საბჭოთა მმართველობის პერიოდში საქართველოში შეუძლებელი იყო საღვთისმეტყველო მეცნიერების განვითარება. ამიტომ, თეოლოგიის სფეროში ქართული საუნივერსიტეტო გამოცდილება მწირია და მოითხოვს მნიშვნელოვან დახვეწას. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები თანამედროვე აღმოსავლურ და დასავლურ სამეცნიერო ცენტრებთან ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

განმეორებითი აკრედიტაცია წინასთან (2014 წწ.) შედარებით მეტი დახვეწილობით გამოირჩევა. განახლებულია აკადემიური და სასწავლო რესურსები, რაც მრავალი მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესსზე მიანიშნებს. პროგრამას დაემატა ახალი მულტიდისციპლინური კურსები: შესავალი მართლმადიდებლურ კანონიკურ სამართალში, ფომილეტიკა, ფსიქოლოგია, რელიგიური ტურიზმი, ქრისტიანული ეთიკა და თანამედროვეობა, ჟურნალისტიკა, სახელმწიფო და ეკლესიის ურთიერთობები. ასევე, გაფართოვდა საერთაშორისო კავშირები წამყვან აღმოსავლურ (ბერძნულ) და დასავლურ (პოლონეთი) საუნივერსიტეტო ცენტრებთან.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია თეოლოგიაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის სტარდატების შესაბამისი სპეციალისტის მომზადება, რომელისც სიღრმისეულად გააანალიზებს სხვადასხვა სახის თეოლოგიური პრობლემას და აკადემიური წერის ტექნიკის საშუალებით შეძლებს თეოლოგიურ საკითხებზე აკადემიური კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას. ○ პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. ნათლად გადმოსცემს თუ რა ცოდნისა და უნარების მიცემას ითვალისწინებს კურსდამთავრებულებისათვის თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, რაც უკავშირდება ტოლერანტული და აკადემიურად გამართული ხედვების ჩამოყალიბებას. ○ პროგრამის სიახლეს წარმოადგენს ნოვაციური კურსები, რომლებიც ითვალისწინებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ასევე, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით დარგის განვითარების შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ○ ინტერვიუს შედეგები ○ საგანმანათლებლო პროგრამა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამა გახდა შედარებით გახსნილი და მრავალკომპონენტიანი, გაზარდა ინტერ-კონფესიური საღვთისმეტყველო საგნების რაოდენობა.
შეფასება ☐ ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მოიცავ პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს, შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, რეალისტური და მიღწევადია. ○ თანამედროვე გამოწვევების პასუხად პროგრამა ორიენტირებულია ინტერკონფესიური და ინტერრელიგიური განათლების საკითხების შესწავლაზე. შესაბამისად, კურსდამთავრებული აღიჭურვება ცოდნით, რომელიც საჭიროა ინტერკონფესიონალურ და ინტერრელიგიურ შეხვედრებში მონაწილეობისთვის. გარდა ამისა, პროგრამა ყურადღებას ამახვილებს სტუდენტებში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, ანალიზის, არგუმენტაციის, პრობლემების შეფასების, გუნდში ეფექტიანად მუშაობისა და სხვა უნარების გამომუშავებაზე. აკადემიური პერსონალის რჩევითა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით პროგრამაზე მოხდა კვლევითი კომპონენტების გაძლიერება რათა სტუდენტმა სრულყოფილად და სიღრმისეულად შეძლოს სამაგისტრო კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, დაუბრკოლებლად და მაღალი აკადემიური სტანდარტით შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი. უნივერსიტეტი გარკვეული პერიოდულობით აწარმოებს მოლაპარაკებებს პოტენციურ დამსაქმებლებთან, რამაც ხელი შეუწყო პროგრამის სხვადასხვა მიმართულებით დახვეწას დასაქმებაზე ორიენტირების ნიშნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სილაბუსები ○ გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის B2 დონის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გაწერილია პროგრამაში. ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ○ ინტერვიუს შედეგები ○ საგანმანათლებლო პროგრამა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის შინაარსი და მოცემულობა შეესაბამება სწავლის საფეხურს, მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი საგანი, რომელიც აუცილებელია მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და დარგის სპეციალიზაციისათვის. ○ თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება თეოლოგიაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის კვალიფიკაცია. თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, რაც ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო კომპონენტი 90 კრედიტი - 42 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო და 48 კრედიტი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა გათვლილია ორ აკადემიურ წელზე. პროგრამა, ორიენტირებულია თეორიული ცოდნაზე, ძირითადი კონცეფციებისა და პრინციპების შესწავლასა და სტუდენტში კვლევის უნარების გამომუშავებაზე. პროგრამით შემოთავაზებული კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევს გააცნობიეროს მიღებული ცოდნა, მოიძიოს და დაამუშავოს სამეცნიერო ლიტერატურა. შეიძინოს სანდო წყაროზე დაფუძნებული მონაცემების მოპოვების და განმარტების გამოცდილება. შეიძინოს სხვადასხვა დოკუმენტებთან მუშაობის უნარები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სილაბუსები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ○ მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ პროგრამა არის გამჭვირვალე და ხელმწისაწვდომი, წარმოდგენილი საგნები და სასაათო ბადე შეესაბამება პროფესიისათვის აუცილებელ ძირითად მოთხოვნებს.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის რამდენადაც სამაგისტრო პროგრამამ უნდა მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, და სტუდენტებს გამოუმუშავოს აკადემიური უნარ-ჩვევები, სასურველი იქნება პროგრამამ მთლიანობაში გაითვალისწინოს სტუდენტებისათვის სავალდებულო სემესტრული რეფერატები, რომელთა წერის პერიოდშიც სტუდენტებს გამოუმუშავდებათ კვლევის მეთოდოლოგია და აუცილებელი კვლევისა და წერის აკადემიური სტილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ძირითადი სპეციალობის სწავლების შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, თავის მხრივ ძირითადი საგნები შეესაბამებიან სასწავლო კურსს და აუცილებელნი არიან მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა შესაბამისია საგნებისა და სპეციალობისა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თითოეული საგნის სილაბუსი შედგენილია შესაბამისი ლიტერატურის თანდართვითა და გათვლილია კრედიტები, სალექციო და სამუშაო საათები. სტუდენტების მოწმობით პროფესორები ძირითადად მისდევენ სილაბუსში წარმოდგენილ პროგრამას.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია მოხდეს სილაბუსებში წარმოდგენილი დამხმარე ლიტერატურის მითითება რამდენიმე საერთაშორისო ენაზე, უკიდურეს შემთხვევაში ინგლისურზე მაინც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ კვლევითი უნარების გამოსამუშავებლად პროგრამით გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი. სამაგისტრო ნაშრომი უზრუნველყოფს სტუდენტებში სამეცნიერო ტიპის კვლევების განასახორციელებლად საჭირო უნარების ჩამოყალიბებას, რაც გულისმობს პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენის, პრობლემის იდენტიფიცირების, რელევანტური ინფორმაციის შეკრების, იდეის, ინიციატივის, პრობლემების ფორმულირებასა და მეცნიერული მეთოდებით მათი გადაწყვეტის შესაძლებლობებს. კვლევითი უნარების ჩამოსაყალიბებლად უნივერსიტეტში ასევე რეგულარულად ხორციელდება ექსტრაკურიკულუმის (პროგრამის გარეშე) აქტივობები, როგორიცაა, სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციები, ინტელექტუალური თამაშები. ○ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს ასევე წარმოადგენს სტუდენტისათვის აქტუალური საღვთისმეტყველო საკითხების ანალიზისა და ტოლერანტული და

ობიექტური მიდგომის ჩამოყალიბება. დასახელებული უნარები თეოლოგიისათვის არის პირველადი პრაქტიკული უნარი. სასწავლო კურსების განაწილება ძირითადად შეესაბამება ამ უნარების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვებ- გვერდი ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ ინტერვიუს შედეგები წარმოდგენილი ცხრილები კურსებისა და სტუდენტებთან ინტერვიუები, მათთვის დასმული სიტუაციური ამოცანები, საშუალებას გვაძლევს ამ პუნქტში დადებითად შევაფასოთ კურსის ეფექტურობა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველი იქნება აქცენტირება მაგისტრატურის სტუდენტებისთვის აკადემიური კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ "აკადემიურ წერას" როგორც სასწავლო კურსს, არამედ სხვადასხვა საღვთისმეტყველო დისციპლინის კვლევისათვის აუცილებელი ძირითადი ინტრუმენტებისა და მეთოდოლოგიური სპეციფიურობის გაცნობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებზე ხორციელდება სტუდენდენტებზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება. კერძოდ, სწავლა-სწავლების მეთოდებიდან უპორატესობა ენიჭება ლექციას, სემინარს, ელექტრონული რესურსით სწავლებას. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან, მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე გამოიყენება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: ინტერაქტიული სწავლება - ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), წერითი და ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დემონსტრირების, ახსნა-განმარტებითი და სხვ. მეთოდები. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, რაც მიმართულია სასწავლო პროცესის აქტივიზებაზე და სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე, შემეცნებითი/კვლევითი უნარების, ცოდნით აქტიური ოპერირებისა და პრაქტიკული გამოყენების, სიტუაციის და ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციის, შედეგების დაკონკრეტების, განზოგადებისა და ახსნის, მსჯელობისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, სამუშაოს სტრუქტურირებისა და დროის მენეჯმენტის, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების, გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის, კომუნიკაციის დამყარებისა და დისკუსიის წარმართვის, თვითპრეზენტაციის და თვითშეფასების და სხვ.

- სწავლების მეთოდები შეესაბამება სტუდენტების მთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგები იჩენენ ინდივიდუალურ მიდგომასაც, სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არსებული პრაქტიკა მოწმდება სტუდენტებისა და პედაგოგების ინტერვიუებიდან. წარმოდგენილი სილაბუსები კი ითვალისწინებენ სტუდენტებისათვის პედაგოგთან ინდივიდუალური კონსულტაციის დროსაც.
- გამოკითხვის შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რაც სამართლიანად და თანასწორად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ და არის გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 2007.05.01). შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასებისას გამოიყენებული კრიტერიუმები უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და პროგრესის გასაანალიზებლად. უნივერსიტეტში მოქმედებს ელ. შეფასების სისტემაც, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს თვალი ადევნოს და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე. სტუდენტის სემესტრულ შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი. შუალედური და დასკვნითი შეფასებები ტარდება წერითი და/ან ზეპირი ფორმით, (ღია და დახურული ტიპის), თეორიული საკითხი, საშინაო დავალება, დისკუსიაში მონაწილეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და სხვა. უნივერსიტეტში შემუშავებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდების გასაჩივრების პროცედურა, რომელიც ასახულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ წარმოდგენილი სილაბუსები შეიცავენ შეფასების ზუსტ სქემებს. სტუდენტები

(ყოფილი და მოქმედი) არ გამოთქვამენ პრეტენზიას შეფასების არაობიქტურობასა და არაგამჭვირვალეობასთნ დაკავშირებით. ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ გამოკითხვის შედეგები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტები ამომწურავ ინფორმაციას იღებენ ადმინისტრაციულ საკითხებსა და სასწავლო პროცესის დაგაგმვაზე. ასევე, ყოველწლიურად პირველ კურსელთათვის ტარდება საორიენტაციო შეხვედრა. უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები სტუდენტებს უწევენ კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ გარდა ამისა, უნივერსიტეტი სტუდენტებთან გადის სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით კონსულტაციას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები მონაწილეობენ კონმფერენციებში. საშუალება აქვთ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებითა და სხვადასხვა პორექტების ფარგლებში ესტუმრნონ საზღვარგარეთ არსებულ სასწავლო დაწესებულებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტუდენტებთან გამოკითხის შედეგები, სადაც ასახულია სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროგრამის დაგეგმვაში. გარდა ამისა, ინტერვიურებისას სასწავლებლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა იმ სტუდენტების სია, რომელიც სწავლას საზღვარგარეთ აგრძელებს და რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გაცვლით პროგრამებში. ასევე იმ სტუდენტებისაც, რომლთა საზღვარგარეთ გაგზავნაც იგეგმება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც ეწევიან ინდივიადუალურ მუშაობას თითეოულ კანდიდატთან და უწევენ კვალიფიციურ ხელმძღვანელობას. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა მოიცავს სტუდენტის მხრიდან დამოუკიდებელი მეცადინეობას, ნაშრომის მომზადებას, ნაშრომის ხელმძღვანელთან სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებულ მუშაობას, სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვისთვის მომზადებას და სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას.
- მაგისტრანტის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული სპეციალისტია. ხელმძღვანელი ფლობს დოქტორის ხარისხს ან გააჩნია თემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული გამოცდილება, რასაც მოწმობს შესაბამისი პუბლიკაციები. ხელმძღვანელი კონტროლს უწევს მაგისტრანტის მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულებას.

  ხელმძღვანელთან ერთად მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც უწევს კონსულტაციებს და ეხმარება მუშაობის პროცესში. საბოლოოდ, ხელმძღვანელი აფასებს მაგისტრანტის მიღწევებს და წარმოოადგენს მას დასკვნითი სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები ყოფილ სტუდენტებთან და სამაგისტროების ხელმძღვანელებთან, დამაჯერებლად მოწმობენ სამაგისტრო ნაშრომებისადმი ინდივიდუალური მიდგომის, კანდიდატის განვითარებაზე ორიენტირებული კვალიფიციური ხელმძღვანელებით საქმიანობაზე.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამას ახორციელებენ კვალიფიციური პირები. წარმოდგენილი პედაგოგების უმრავლესობა, თეოლოგიურ დისციპლინებში წარმოადგენს მეტ-ნაკლებად ცნობად სახეს, დარგის სივიწროვიდან გამომდინარე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს

ძირითადი ადმინისტრაციული პერსონალის საჭირო რაოდენობასაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ წარმოდგენილია პედაგოგების აავტობიოგრაფია და დოკუმენტაცია, რასაც ავსებს ადმინისტრაციასთან შეხვედრა და გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ადმინისტრაციის მხრიდან გაკონტროლდეს ასისტენტებისათვის გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმდინარეობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი კონფერენციებისა და ფორუმების ორგანიზების, ასევე უცხოეთიდან მოწვეული პროფესორებთან შეხვედრისა და თანამშრომლობის გზით ხელს უწყობს სამეცნიერ/კვლევითი საქმიანობის განვითარებას.

○ ადმინისტრაციის განმარტების თანამხად დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აფილირებული და აკადემიური პერსონალის აკადემიური მიღწევების შეფასებასა და ანალიზს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ წარმოდგენილი იქნა დაწესებულების სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ შერულებული საღვთისმეტყველო გამოცემები, კონფერენციათა და სტატიათა კრებულები, ნათარგმნი წიგნები და ა.შ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველი იქნება ადმინისტრაციამ, როგორც დამსაქმებელმა შეაფასოს არა მხოლოდ აფილირებული და აკადემიური პერსონალის, არამედ არააფილირებული და მოწვეული პროფესორების აკადემიური, სამეცნიერო და კვლევითი აქტივობები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე

ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct, Scival Funding (Funding Institutional). სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ვიზუალური დათვალიერება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული რესურსები რეალისტურია და შეესაბამება პროგრამას. აღსანიშნავია, რომ თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკურობიდან გამომდინარე და იმ მიზეზით, რომ პროგრამაზე რიცხული სტუდენტების რაოდენობა შესაძლოა ვერ უზრუნველყოფდეს პროგრამისთვის საჭირო დანახარჯებს უნივერსიტეტი მიმართავს სპეციალურ ღონისძებას დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისით საერთო საუნივერსიტეტო ფინანსური რესურსებიდან. აღინიშნა, რომ ამ მიზნით, რექტორის აქტით, გამოყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსი გასული წლების განმავლობაში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მიმდინარე საგანმანათლებლო, ისე სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თანდართული დოკუმენტი "ბიუჯეტი"
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პერსონალი თანამშრომლონს ხარისხის მართვის სამსახურთან და წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე ცდილობს გააუმჯობესოს და დახვეწოს პროგრამა. ○ ხარისხის მართვის სამსახური მუშაობს საუნივერსიტეტო PDCA (P-დაგეგმე, D-განახორციელე, C-შეამოწმე, A-შეაფასე) პრინციპით, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის სასწავლო შედეგებზე ორიენტირებულ ხარიხს. თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული არიან - პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და ხარისხის მართვის სამსახურები. PDCA პრინციპის განსახორციელებლად ხარისხის მართვის სამსახურის მიერ სტუდენტების გამოკითხვებიდან მიღებული შედეგები განიხილება პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის საბჭოს მიერ და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. ამავე ფორმატში შეიქმნილია აკრედიტაციის თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია თეოლოგიის სამაგისტრო

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და სტუდენტებისაგან. მათი მუშაობის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და გამოკითხვის შედეგები განიხილება აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის მართვის სამსახურთან ერთად. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ გათვალისწინებულია სტუდენტების მოთხოვნა ცალკეული საგნების შეფასების სისტემასა და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურთან.
რეკომენდაციები: შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმი გამართულია და ძირითადად შეესაბამება ხარისხის განვითარების სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, სასურველია ყურადღება გამახვილდეს თეოლოგიის მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე (C-შეამოწმე).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ადმინისტრაციის განმარტებით პროგრამას აფასებინებენ უცხოელ პროფესორებს, ელექტრონული კომუნიკაციის გზით. განსაკუთრებით აღინიშნა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. მითითებული იქნა ათენის მართლმადიდებლური და ფრიბურგის (შვეიცარია) კათოლიკური უნივერსიტეტების ჩართულობა და წარმოდგენილი იქნება შესაბამისი შეფასებები და დოკუმენტები. აღნიშნულ უნივერსიტეტთა ანალოგიით სულხან საბას უნივერსიტეტის თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელდა გარკვეული ცვლილებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამის შეფასებისას უცხოელი ექპერტების მოწვევა, გარკვეული პერიოდულობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. მონაცემთა შედარების საფუძველზე ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შესაბამისი საოპერაციო გეგმის შემუშავება, რას საბოლოოდ განაპირობებს პროგრამის გაუმჯობესებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის შეფასება ხორციელდება მოწვეული შემფასებლების (ელექტრონული გზით), სტუდენტების გამოკითხვისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის ანალიზის გზით. ვთვლით, რომ მონიტორინგის ინსტრუმენტები ეფექტიანია და ადასტურებს პროგრამის განვითარებას წინა წლებთან შედარებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ✓ **ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურთან.**
რეკომენდაციები: სასურველია გაიზარდოს გარე რეფერირების მექანიზმი!
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: **31**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვლადიმერ ნარსია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ბექა ებრალიძე

სოფო ბაბილოძე